საქართველოს მოსამართლეთა IV კონფერენციის დღის წესრიგი

1. მართლმსაჯულების მდგომარეობა საქართველოში - 2002 წელი;

მომხსენებელი - ლადო ჭანტურია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

2. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს ინფორმაცია გაწეული მუშაობის თაობაზე;

მომხსენებელი - ლადო ჭანტურია, ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

3. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ანგარიში -2002 წელი;

მომხსენებელი - მერაბ ახობაძე, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე

4. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს ინფორმაცია გაწეული სამუშაოების შესახებ

მომხსენებელი - ნინო გვენეტაძე, სადისციპლინო საბჭოს თავმჯდომარე

4.1. საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების ,,სასამართლო რეფორმის პროექტის'' კომპონენტის - ,,საერთო სასამართლოების ადმინისტრირება და საქმეთა მართვა, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება'' განმახორციელებლი საკონსულტაციო ფირმის **"Court Management Associates"** (დირექტორი ბატონი რობერტ დ. ლიფშერი) ექსპერტთა რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელებისა და დანერგვის შესახებ;

მომხსენებელი - პროექტის კოორდინატორი, იუსტიციის საბჭოს წევრი, ოთარ გოგოძე

5. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამსახურეთა (მოხელეთა) ეთიკისა და ქცევის წესთა კოდექსის მიღება;
წარადგენს საქართველოს იუსტიცის საბჭო

6. მართლმსაჯულების განხორციელებისა და სასამართლოთა ორგანიზაციული მუშაობის პრობლემატური საკითხების მიმოხილვა;

მოსამართლეთა გამოსვლები

7. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს ახალი წევრების არჩევა;

8. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის ახალი წევრების არჩევა;

9. საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ სტუდენტთა ოლიმპიადისა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის მიერ განხორციელებული რეგიონალური სასწავლო პროგრამის თაობაზე.

მომხსენებელი - ამერიკის იურისტთა ასოციაციის ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ქალბატონი კეროლინ კლარქ კემფბელი, ოლიმპიადისა და სასწავლო პროგრამის მონაწილენი (სტუდენტი, სკოლის მოსწავლე).

10. სასამართლოსა და მედიის ურთიერთობის თაობაზე.

მომხსენებელი - ამერიკის იურისტთა ასოციაციის ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის წარმომადგენელი საქართველოში, ბატონი ჯენ კილპინსკი

სხვადასხვა

საქართველოს მოსამართლეთა IV კონფერენციის მონაწილეთა მიმართვა

საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი

საქართველოს პრეზიდენტს,

საქართველოს პარლამენტს,

საქართველოს მოსამართლეთა IV კონფერენციის მონაწილე მოსამართლეები ვეყრდნობით რა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ,,მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ''ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 13 ოქტობერს მიღებულ მეთორმეტე რეკომენდაციას, 1998 წლის 8-10 ივლისს სტრასბურგში მიღებულ მოსამართლეთა სტატუსის ევროპულ ქარტიას, დანაშაულობათა აღკვეთისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვიდე კონგრესზე (მილანი, 1985 წ) მიღებულ ,,სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებს, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, სამოსამართლო სამართლისა და ეთიკის საყოველთაოდ აღიარებულ სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს, საქართველოს ორგანულ კანონებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' და ,,საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ'', ვზრუნავთ რა სასამართლოთა დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სასამართლო ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობისა და რწმენის ამაღლებისათვის, მივიჩნევთ, რომ ძლიერი, ჯანსაღი, ქმედითი სასამართლო სისტემის ჩამოსაყალიბებლად, სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კონსტიტუციური პრინციპების დასაცავად და განსამტკიცებლად, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილ იქნას:

სახელმწიფო სამსახურში აღიარებული ,,მუდმივობის'' პრინციპის სასამართლო ხელისუფლებაში დამკვიდრება და მოსამართლის თანამდებობაზე სამისდღემშიო ან უვადო (საპენსიო ასაკის მიღწევამდე) გამწესება;

თავდაპირველი გამწესების ადგილზე სავალდებულო სამოსამართლო ვადის რეგლამენტირება და მხოლოდ კარიერის პრინციპით მისი შემდგომი გადაადგილება-დაწინაურება;

მოსამართლეთა რაოდენობისა და დატვირთულობის გონივრული შესატყვისობა;

მოსამართლის მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობისა და შეუვალობის უზრუნველსაყოფად მორალური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებათა განხორციელება;

მოსამართლეთა რანგირების (საკლასო ჩინის) დაწესება;

სასამართლო შენობების, სასამართლო სხდომის დარბაზებში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ადმინისტრაციული (ძალოვანი) სამსახურის შექმნა;

საქართველოს მოსამართლეთა IV კონფერენციის მონაწილენი გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ სასამართლო ხელისუფლებისადმი სახელმწიფოებრივი ზრუნვა გახდება ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობისა და დამკვიდრების, მისი ავტორიტეტის ზრდის, ადამიანის უფლებათა დაცვის კანონის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი გარანტი.

თბილისი, 2003 წლის 28 ივნისი

ლადო ჭანტურია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა #1

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ხელმძღვანელის ანგარიშის შესახებ

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის ,,დ'' პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის-საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ხელმძღვანელის 2002 წლის ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ მიღებულ იქნას ცნობად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა #2

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის შესახებ

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის ,,დ'' პუნქტის, ,,საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ'' საქართველოს კანონის მე-13 მუხლის ,,გ'' პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

ინფორმაცია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის თაობაზე მიღებულ იქნას ცნობად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა #3

საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიშის შესახებ

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის ,,დ'' პუნქტის, ,,საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიში საბჭოს მუშაობის თაობაზე მიღებულ იქნას ცნობად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა #4

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის

2002 წლის საქმიანობის ანგარიშის შესახებ

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის ,,დ'' პუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის 2002 წლის საქმიანობის ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დადგენილება #5

მსოფლიო ბანკის პროექტის სასამართლო რეფორმის კომპონენტის ,,საერთო სასამართლოების ადმინისტრირება, საქმეთა მართვა, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება" განხორციელების თაობაზე

მოისმინა რა საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის ოთარ გოგოძის ინფორმაცია მსოფლიო ბანკის პროექტის სასამართლო რეფორმის კომპონენტის ,,საერთო სასამართლოების ადმინისტრირება, საქმეთა მართვა, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება'' განხორციელების თაობაზე საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს :

1. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის საბჭოს, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, საერთო სასამართლოების დეპარტამენტთან, სამოსამართლო სწავლების ცენტრთან ერთად შეიმუშაოს საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების სისტემის განვითარებისა და ორგანიზაციული მუშაობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გარდაქმნის სტრატეგიული გეგმა.

2. ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის საბჭოს საერთო კოორდინაციით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა და სამოსამართლო სწავლების ცენტრმა, 2004 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა #6

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამსახურეთა (მოხელეთა) ეთიკისა და ქცევის კოდექსის მიღების თაობაზე

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის ,,ე'' ქვეპუნქტის, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საერთო სასამართლოების მოსამსახურეთა (მოხელეთა) ეთიკისა და ქცევის კოდექსი თანდართული სახით.

2. საერთო სასამართლოების მოსამსახურეთა (მოხელეთა) ეთიკისა და ქცევის კოდექსი ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ლადო ჭანტურია